ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182701770**
თარიღი: **27/09/2018**
პინი: **2882**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 სექტემბრის #60-01182671799 წერილი (AR1625121) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე კონსტანტინე დგებუაძის მომართვის საფუძველზე, შპს „დი ემ ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ბუხაიძის ქუჩა #54 ს.კ. #01.16.06.056.009) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად (ტოპო. გეგმა შენობის განთავსების სქემით და მწვანე ნარგავის დატანით, ფოტოსურათები, გამწვანების პროექტი) ტერიტორიაზე ჯამში განთავსებულია ერთი ძირი ვაზი, რომლის მოჭრა/გადარგვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე არ საჭიროებს ნებართვის გაცემას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი